ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! შექმენით მაღალმხატვრული ნაწარმოებები სპორტზე, ეს იქნება თქვენი წვლილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებაში!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-12 წელი

№ 5 (915) | კვირა, 15 იანვარი, 1956 წ. | ფასი 80 კაპ.

სიტყვა თქვენზეა

ჯერ კიდევ 1953 წელს საქართველოს მოწინავე სპორტსმენებმა ჩვენი გაზეთის საშუალებით ღია წერილით მიმართეს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს — შეექმნათ მხატვრული, ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებები სპორტზე, საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაზე. მოუთმენლად ელოდნენ ისინი საქართველოს კულტურის მოამაგეთა ხმას, მაგრამ ამაოდ.

აი, დღეს კვლავ ვაქვეყნებთ ისეთივე შინაარსის წერილს, ვაქვეყნებთ იმიტომ, რომ ახლა რესპუბლიკის სპორტული კოლექტივის ცხოვრებაში მეტად დაძაბული დღეებია — იგი ენერგიულად ემზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. ამ გრანდიოზული ღონისძიებისათვის მზადება მარტო ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის საქმე როდია, იგი საერთო-სახალხო საქმეა და მასში ყველა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებმა, რომლებზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული ჩვენი წარმატებები. ეს პირველ რიგში ეხება მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირებს.

სპორტი მეტად მიმზიდველია, სპორტსმენთა ცხოვრება მეტად მრავალფეროვანია და ამაღელვებელი მომენტებითაა აღსავსე. ეს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკებისათვის ცნობილია. თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ შეჯიბრების მიმდინარეობისას მაყურებელთა პირველ რიგებში ისინი სხედან, მთელი არსებით განიცდიან ასპარეზობის მსვლელობას. მათ უყვართ სპორტი, მისი სახელოვანი წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველო მრავალგზის ასახელეს მსოფლიო სარბიელზე. ეს უდავოა. მაშ რატომ არ ჩანან მათ შემოქმედებაში სპორტსმენთა სახეები, განა ცოტა წვლილი მიუძღვით მათ ჩვენი რესპუბლიკის კულტურის აყვავებაში?

ჩვენთვის გასაგებია, რომ სპორტული თემა მეტად საპასუხისმგებლო, რთული თემაა და ნაწარმოები რომ შთამაგონებელი გამოვიდეს, საჭიროა მასალის ღრმად შესწავლა, დრო, ჯაფა. შეძლეს თუ არა სპორტული თემის დაძლევა პროზაიკოსებმა ა. ბელიაშვილმა და ს. მთვარაძემ, რომლებმაც შექმნეს მოთხრობები სპორტზე. რასაკვირველია, შეძლეს. მაშ რას უცდიან პოეტები, დრამატურგები, კომპოზიტორები? გასულ წელს საქართველოს მხატვრების მრავალ ნამუშევარში იყო ასახული სპორტული თემა. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ნამუშევრები ან სპორტის ხალხური სახეობების ამსახველი ტილოები იყო, ან კიდევ სპორტსმენთა პორტრეტების.

უკვე მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სპორტული დელეგაციის მხატვრული გაფორმებისათვის ხალხთა სპარტაკიადის გახსნისადმი მიძღვნილ პარადზე. უფრო ეფექტური იქნება, რომ ჩვენი წარმომადგენლები პარადზე ომახიანი სიმღერებითაც გამოვიდნენ. ამისათვის საჭიროა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა რჩევა მისცეს მის წევრებს კარგი სიმღერის შექმნით დაეხმარონ საქართველოს სპორტულ დელეგაციას სპარტაკიადის გახსნის პარადზე წარმატებით გამოსვლაში. სასურველი იქნება გამოცხადდეს რესპუბლიკური კონკურსი საუკეთესო ფიზკულტურულ მარშზე. ასეთი ღონისძიება ბევრ კომპოზიტორს დააინტერესებს და კარგ ნაყოფსაც მოგვცემს.

„ქართულმა ფილმმა“ ერთ დროს შესანიშნავი საქმე წამოიწყო — რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებზე კინონარკვევების შექმნა. გადაიღო კიდეც „ბორის პაიჭაძე“ და... ამით დამთავრდა ყველაფერი. კინო ხომ მასობრივი აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა და განსაკუთრებით ახლა, სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში მას დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ხელოვნების ეს დარგიც სდუმს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის, ვინც მრავალწლიანი ბეჯითი წვრთნით, ნერვების უდიდესი დაძაბვით, თავდაუზოგავი მუშაობით ცდილობს სახელი გაუთქვას საბჭოთა სპორტს, შემოქმედებითი მუშაკების ყურადღების ღირსია. რიგითი ფიზკულტურელები მათზე უნდა კითხულობდნენ წიგნებში, უყურებდნენ მათ სცენაზე, ეკრანზე, ისმენდნენ მათზე სიმღერებს. ეს სტიმულს მისცემს იმას, ვინც გუშინ დაიწყო სექციაში მეცადინეობა, შეაყვარებს სპორტს, გამსჭვალავს გამარჯვებისადმი სწრაფვის სულისკვეთებით.

სიტყვა თქვენზეა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო!

„ფიზკულტურელის კალენდარი“

ლატვიის სპორტის მოყვარულის მაგიდაზე შეხვდებით ლამაზად გაფორმებულ წიგნაკს — ეს „ფიზკულტურელის კალენდარია“. მიმდინარე წლისათვის ლატვიის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა სათვალავით მე-9 ასეთი წიგნაკი.

კალენდარი თვალნათლივ ასახავს სპორტის განვითარების ისტორიას რესპუბლიკაში. აქვე მოთავსებულია რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო რეკორდების ცხრილები, სათანრიგო ნორმატივები. კალენდარი შეიცავს საცნობარო მასალებს ფიზკულტურული აქტივისათვის, სპორტით დაინტერესებული პირებისათვის. კალენდარი მოგვითხრობს აგრეთვე ახალ სპორტულ ლიტერატურაზე, რომელიც იყიდება რესპუბლიკის წიგნის მაღაზიებში ან მიმდინარე წელს გამოქვეყნდება.



ა. კერესელიძე
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე





წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: ტანვარჯიშში — ა. ფ. გრინშტეინს (თბილისი, საბჭოთა არმია), კალათბურთში — გ. ვ. მინაშვილს (თბილისი „დინამო“).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: კრივში — ი. ს. ცეცაძეს (თბილისი, საბჭოთა არმია), გ. ს. ოგანიანს (თბილისი, „დინამო“), ცხენოსნობაში — ჯ. გ. მენთეშაშვილს (ბათუმი), საიალქნო სპორტში — ნ. გ. ემხვარს (სოხუმი, „დინამო“).

ღია წერილი

საქართველოს სპორტსმენებისა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალისტური სინამდვილე, თავისი მიმზიდველობით, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა კომუნიზმის საკეთილდღეოდ, მათი მაღალი მორალური თვისებები, უანგარო სიყვარული დაუშრეტელი მაცოცხლელი წყაროა თქვენი შემოქმედებითი ფანტაზიისათვის. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლებს ზრდიან მაღალი მორალური და პოლიტიკური შეგნებით, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები დიდი ინტერესით ვეცნობით თქვენს შემოქმედებას, გვიყვარს ყველა კარგი წიგნი, სიმღერა, ფერწერული და სკულპტურული ნამუშევარი, მაგრამ ძალიან გვწყინს, რომ თქვენ მიუტევებელ უყურადღებობას იჩენთ ჩვენდამი. ქართველი მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები არ ჰქმნით ნაწარმოებებს საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობაზე, საბჭოთა სპორტსმენებზე. თითოოროლა ლექსი, მოთხრობა, სიმღერა, რომლებიც თქვენ ჩვენთვის გაიმეტეთ, წვეთია ზღვაში...

ძვირფასო ამხანაგებო! რატომ არ ქმნით ნაწარმოებებს სპორტულ თემებზე? ნუთუ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა არ შეიცავს მსუყე საკვებს თქვენი შემოქმედებითი ფანტაზიისათვის? დაგვეთანხმებით, რომ საბჭოთა სპორტი ბევრს საინტერესოს შეიცავს თქვენთვის და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არის მიმზიდველი ეპიზოდები, მაღალადამიანური განცდები, მისწრაფებები, გამარჯვება და სიხარული, დამარცხება და სასოწარკვეთა, ინტიმური გრძნობები, კონფლიქტები დინამიური სიუჟეტური ქარგისათვის, — საჭიროა მხოლოდ ეძებოთ ისინი, ჩაწვდეთ მათ, განიცადოთ მთელი არსებით და შემდეგ გადაადნოთ თქვენს შემოქმედებითს ქურაში.

1956 წელი დიდი სპორტული წელია. საქართველოს სპორტსმენები მთელი მონდომებით, ენერგიის დაუშურებლად ემზადებიან საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად დაიცვან დიადი საბჭოთა ქვეყნის სპორტის სახელი მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში.

რა წვლილი შეგაქვთ თქვენ სპორტული საქართველოს წარმატებებში? ხომ კარგად იცით, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურად ჯანსაღი და მხატვრულად გამართული ნაწარმოებები სპორტულ თემებზე — ეს იქნება თქვენი ღირსეული წვლილი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვების საქმეში.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი თხოვნაა სიყვარულით მოჰკიდოთ ხელი საქმეს. ჩვენ, რესპუბლიკის სპორტსმენები და ფიზკულტურელები, თქვენგან მოველით სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებებს, სიმღერებს, სკულპტურულ და ფერწერულ ნამუშევრებს.

წარმატებას გისურვებთ თქვენს შემოქმედებითს შრომაში, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო!

სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, გ. კარტოზია, დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, რ. ჩიმიშკიანი, მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე.

სპორტის ოსტატები: რ. შარაბიძე, ს. ჯაიანი, ზ. მარხანელი, ვ. ქლენტი, ვ. ზნიოტოვა, ა. მეიფარიანი, ზ. ანტონოვი.

სპორტული ლიტერატურის გამოცემა

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს კომისიამ დაამტკიცა სპორტული ლიტერატურის გამოცემის გეგმა 1956 წლისათვის.

წელს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მიიღებენ ათობით სხვადასხვა სახელწოდების წიგნსა და ბროშურას ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. გეგმაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერულ-პოპულარული და მეთოდური ლიტერატურის გამოცემას, ნარკვევებს მოწინავე საბჭოთა სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე, ფიზკულტურულ კოლექტივებზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასთან დაკავშირებით გამოიცემა მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული პლაკატები.

საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის შესახვედრად

ზრუნვის შედეგი

გორის მე-4 საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. სავანელი) კარგად არის დაყენებული ფიზკულტურის სწავლებისა და სექციური მუშაობის საქმე. ფიზიკოზრდის მასწავლებელი ი. ქუმელაშვილი თავის ცოდნასა და უნარს ახმარს ძირეული კოლექტივის განმტკიცების, მოსწავლეთა აკადემიური და სპორტული მაჩვენებლების დონის ზრდას.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერით ხშირად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები. სისტემატიურად გამოდის კარგად გაფორმებული და შინაარსით მდიდარი კედლის გაზეთი „ფიზკულტურელი". საკუთარი ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფილ მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, აკრობატიკისა და ჭადრაკის სექციებში გაერთიანებულია 119 მოსწავლე. 86 მოსწავლე თანრიგს იმაღლებს ქალაქის სპორტულ სკოლაში.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად გასულ წელს მომზადდა 33 იმშთ და 20 მშთ I საფეხურის ნიშნოსანი. 41 მოსწავლემ სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეასრულა სათანრიგო ნორმატივი, მათ შორის ერთმა — პირველი და ექვსმა — მეორე თანრიგისა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის აღსანიშნავად სკოლის პარტიულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს იბრძოლონ ძირეული კოლექტივის შემდგომი განმტკიცებისათვის, რესპუბლიკური სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის, გაზარდონ რესპუბლიკური და საქალაქო ღონისძიებებში მოპოვებული საპრიზო ადგილების რაოდენობა. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის გრძოლაში აქტიურად ჩაებნენ თანრიგოსანი მოსწავლეები: გ. ხუხაშვილი, ლ. კურდღელაშვილი, გ. მზარეულაშვილი, ა. მურადოვი, მ. მიდელაშვილი, მ. თვაური და სხვები.

ა. გელაშვილი

ჯილდოები აქჭიკოზისათვის

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სიგელითა და ალმით დაჯილდოვოს ის ფიზკულტურული კოლექტივები, რაისაბჭოები, ინსტრუქტორ-მწვრთნელთა შემადგენლობა, სპორტული ბაზების მუშაკები და ფიზკულტურელები, რომლებიც სათანადო ინიციატივას გამოიჩენენ რესპუბლიკური და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის მზადების პერიოდში, მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადებაში აჩვენებენ საუკეთესო შედეგებს, უზრუნველყოფენ არტელებში ნომუშავე „სპარტაკს" წევრთა მასობრივ მონაწილეობას ხალხთა სპარტაკიადის პირველ ეტაპში, მოიპოვებენ მეორე ეტაპში მონაწილეობის უფლებას და კომპლექსურ ჩათვლაში ან სპორტის რომელიმე სახეობაში დაიკავებენ პირველ ადგილებს.

„სპარტაკის" საკავშირო საბჭოს სიგელითა და ალმით დასაჯილდოვებლად წარდგენილ იქნებიან ის რაიონული საბჭოები, რომლებიც ყველაზე მასობრივად გამოვლენ საკავშირო სპარტაკიადის პირველ და მეორე ეტაპებზე, ამ რაისაბჭოს თავმჯდომარეები კი დაჯილდოვდებიან ცენტრალური საბჭოს სიგელებით და მივლინებულ იქნებიან მოსკოვში სპარტაკიადის ფინალზე დასასწრებლად.

ის მუშაკები, რომლებიც შეძლებენ სპორტული ბაზების ლამაზად გაფორმებას, სპარტაკიადის ნორმალურად ჩატარებისათვის ყველა პირობების შექმნას — დაჯილდოვდებიან რესპუბლიკური საბჭოს სიგელით და მივლინებულ იქნებიან მოსკოვში, ხოლო ის მწვრთნელები, რომლებიც საზოგადოების წევრთა რიცხვიდან შეძლებენ სპარტაკიადაში ვამარჯვებულის ან რეკორდსმენის მომზადებას — დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით.

პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად ცნო რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირად-პირველობაში გამარჯვებული სპორტსმენების დასაჯილდოებლად დაიწესოს სპეციალური ჯილდოები მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კრივში, თავისუფალ ჭიდაობაში, თანამედროვე ხუთჭიდში, ველოსპორტში, ცურვასა და ძალოსნობაში.

ასრულებენ ვალდებულებებს

დიდი შრომითი აღმავლობაა გურჯაანის რკინიგზის საორთქლმავლო დეპოში. აქ ფართოდ გაიშალა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ყველა თანამშრომელი ჩაება.

ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე მდგომთა შორის დაწინაურდნენ მემანქანე-ფეხბურთელები ა. გიორგობიანი, მ. ღიბრაძე, ნ. მოსესიანი, ფრენბურთელები — მ. აბრამიშვილი, ვ. ხრუსტალი და მოჭადრაკე შ. ჯადუგაშვილი. ყრილობის შესახვედრად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის კარგად მუშაობენ ავრეთვე სპორტსმენები შ. ქურდაძე, ს. ყალაბეგაშვილი, ზ. ღიბრაძე და სხვები.

საორთქლმავლო დეპოს სპორტსმენებმა ყრილობის აღსანიშნავად მოაწყვეს ფრენბურთის ახალი მოედანი, წარმატებით ემზადებიან ზამთრის ახალგაზრდულ თამაშებსა და რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

თ. გოგიაშვილი

გუნდები არაა დაკომპლექტებული

რაიონის პირველობები კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობასა და ჭადრაკში — აი იმ ღონისძიებათა მთლიანი სია, რომელიც გასულ წელს ორჯონიკიძის რაიონში ჩატარდა. სხვა ფიზკულტურული საქმიანობა აქ არავის შეუმჩნევია. მარელისის ავეჯის ფაბრიკისა და ცენტრალური შაპანკომბინატის საკმაოდ მრავალრიცხოვან კოლექტივებში ყურადღება არ ექცევა ფიზკულტურულ მუშაობას, არა აქვთ ბაზები, ინვენტარი.

მუშაობა ჩაშლილია აგრეთვე კიცხის, ლეღვანის, ბორითის, ღორეშისა და სხვა საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. რაიონის ცენტრში დღემდე ვერ გამონახეს დარბაზი, რომელიც ოდნავ მაინც დაკმაყოფილებდა სპორტსმენთა მოთხოვნებს. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. მაჭავარიანმა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. გურგენიძემ დღემდე ვერ შეძლეს საერთანადოდ წარიმართათ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის სამზადისი. სპორტის არც ერთ სახეობაში არაა დაკომპლექტებული ნაკრები გუნდები.

არავითარი დახმარება არ იგრძნობა კომკავშირის რაიკომის მუშაკებისაგან. სპარტაკიადის ჩატარებამდე კი მცირე დრო დარჩა.

გ. ციცქიშვილი

ძალოსანთა სექცია

ზუგდიდის ჩაის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში ერთი წელია, რაც ძალოსნობის სექცია მუშაობს. სექციაში გაერთიანებულია 15 სპორტსმენი.

რაიონის პირველ სპარტაკიადაში ტექნიკუმის ძალოსნებმა კარგი შედეგები აჩვენეს და სპორტული თანრიგები ჩააბარეს. ექვსმა სპორტსმენმა აჩვენა მესამე თანრიგის, ხოლო ერთმა — მეორე თანრიგის ნორმა.

ამჟამად ტექნიკუმის ძალოსანთა გუნდი ემზადება „პიშჩევიკის" რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც გაიმართება თბილისში.

ბ. ალუბგაია

ამხანაგური მაჯჩი

ამ დღეებში ვაიმართა საქართველოს და სომხეთის „შრომითი რეზერვების" კალათბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. მატჩი, რომელიც საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა, მოიგეს საქართველოს კალათბურთელებმა მინიმალური უპირატესობით — 41:40.

დ. თათევოსიანი

საფარიკაო

მანქანამ ამოხსნა

სპეციალური დიპლომი

ვ. ლომსაძე და ნ. ჯაფარიძე

ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებები

კალათბურთი

მოსკოვში დამთავრდა ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის, რიგის, კაუნასისა და სხვა ქალაქების გუნდები.

ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება რიგის „დუგავის" გოგონებმა. მათ დამსახურებულად დაიკავეს I ადგილი, ვათამაშებაში II ადგილი წილად ხვდა ლენინგრადის „ბურევესტნიკს", ხოლო მესამე ადგილი—მოსკოვის „მეტალურგს". თბილისის „ბურევესტნიკის" გოგონათა გუნდი ტურნირში თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა. მან მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა.

საინტერესოდ წარიმართა ჭაბუკთა გუნდების შეხვედრები. უკანასკნელ ტურამდის წარუგებლად მოვიდნენ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" კალათბურთელები. პირველი ადგილის ბედი მათ შორის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

თანაბარი სიძლიერის სპორტსმენთა მატჩი უაღრესად დაძაბული მოდგა, შეხვედრის უკანასკნელ წამებზე სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა შედეგს 56:55 მოსკოველთა სასარგებლოდ. თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წამი აკლდა, როდესაც მოსკოველთა ფარისაკენ დაინიშნა ორი საჯარიმო სროლა. თბილისელმა კაპიტანმა ამ კრიტიკულ მომენტში ვერც ერთი ბურთი ვერ გამოიყენა. მატჩი მოიგეს მოსკოველმა ჭაბუკებმა — 56:55.

მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებებზე საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ იქნა ჭაბუკთა შორის ვ. ლომსაძე, ვოგონათა შორის ნ. ჯაფარიძე.

ფრენგური

რიგაში ექვს დღეს გრძელდებოდა უძლიერეს მოზარდ ფრენბურთელთა შეჯიბრება. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ბაქოს, რიგის, ტალინის, სვერდლოვსკის, კუიბიშევის, ოდესისა და კასნოდარის კოლექტივები.

ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდმა. მეორე ადგილზე მოვიდნენ თბილისელი ფრენბურთელები.

გოგონათა შორის უძლიერესი გუნდი მოდგა მოსკოვის „ლოკომოტივი".

ჩემპიონები კრივში

დამთავრდა უმაღლეს სასწავლებლების პირველობა კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ტექნიკუმის კოლექტივები. ორი დღის ბრძოლების შედეგად გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკრივეთა გუნდმა (მწვრთნელი შ. დვალი), მეორეზეა ფიზკულტურის ტექნიკუმის კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით ქალაქის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატი რ. კალაჯიანი (ფიზკულტურის ტექნიკუმი), საქართველოს ოსტატი შვილი (ფიზკულტურის ტექნიკუმი), ზ. კოზაევი (ფიზ. ტექნიკუმი), ო. ბერნაბიშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ასატუროვი, სპორტის ოსტატი გ. დარბაისელი (ფიზ. ტექნიკუმი), მ. განელინი და გ. მამალაძე (ორივე სახ. უნივერსიტეტიდან).

უ. ბიბინაძე

დაუმარცხებლად

ქუთაისში შვიდ დღეს გრძელდებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების კალათბურთელთა კოლექტივების ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ახაშის, ახალციხის, ახალქალაქის, ბაკურციხის, გორის, დიღმის, მცხეთის, სოხუმის, ლაგოდეხის, წულუკიძისა და დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების კოლექტივებმა.

ძლიერად ჩაატარა ტურნირი დიდი ჯიხაიშის გუნდმა, რომელმაც დაამარცხა წულუკიძე — 81:19, გორი — 87:39, სოხუმი — 106:17, ახალციხე — 71:12 და ფინალურ შეხვდა მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებულ ლაგოდეხის ტექნიკუმის კალათბურთელებს. ფადამწყვეტ მატჩი ჯიხაიშელმა სპორტსმენებმა მოიგეს — 64:39.

ამრიგად ჯიხაიშელმა სპორტსმენებმა დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონის წოდება.

ი. ლეკვეიშვილი

გოგონები

ბათუმში მოეწყო რესპუბლიკის უძლიერეს მოფარიკავე გოგონათა შეჯიბრება. აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონისა და წულუკიძის ნაკრები გუნდები ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი თბილისის სპორტსმენთა პირველმა კოლექტივმა დაიკავა (ნ. ხავთასის, თ. ქველიაშვილის, ი. ბოლოთაევას, გ. გორდაძის, მ. სულთანიშვილის შემადგენლობით). მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისის, ხოლო მესამეზე — ზესტაფონის გუნდი.

15-16 წლის გოგონათა შორის პირველი ადგილი თბილისელმა მ. სულთანიშვილმა დაისაკუთრა. მან ყველა ბრძოლა თანაბარი სიძლიერით ჩაატარა. მეორე ადგილი წილად ხვდა მ. რევიშვილს (ქუთაისი), ხოლო მესამე—ი. გორრაძეს (თბილისი).

17-18 წლის გოგონების ფინალურ შეხვედრებში მოგებათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს თბილისელებმა ნ. ხავთასმა და თ. ქველიაშვილმა. დაარ ექცევა სათანადო ყურადღება. ასე მაგალითად, ბათუმმა შეხვედრაში არა სრული გუნდი გამოიყვანა, იმ დროს, როდესაც ქალაქის მოსწავლეთა სპორტულ სკოლაში ფარიკაობის ორი ჯგუფი მეცადინეობს. ბათუმის გუნდის მწვრთნელს ნ. მუშლიანს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ მისი გუნდი არ იყო სათანადოდ მომზადებული.

ბილიკზე

მატებით ბრძოლაში გაიმარჯვა ქველიაშვილმა. მესამე ადგილზე აღმოჩნდა ქუთაისელი მ. გადელია.

მაღალი ტექნიკისათვის და გააზრებული ტაქტიკური ბრძოლისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს სპეციალური დიპლომი გადაეცა ზესტაფონელ ე. გაბრიჩიძეს (მწვრთნელი ს. საყვარელიძე).

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ფარიკაობის განვითარებას

ო. დიდებულიძე

შეჯიბრების მთავარი მსაჯი

სურათზე: მ. სულთანიშვილი და თ. ქველიაშვილი

ფოტო კ. ხაბატარაშვილისა

... ᲓᲠᲐᲙᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲦᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

... ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲕᲔᲜᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

...ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲚᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲮᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲝᲛᲖᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲐᲛ

მალე აინთება ოლიმპიური ჩირაღდანი

იგი 47 ნაბიჯში გარბოდა 100 მეტრს

პაულ ანდერსონის ხაღათი

„თეთრი ოლიმპიადის“ წინ

გაივლის ცოტა ხანი და კორტინა დამპეცოში აგიზგიზდება ოლიმპიური ჩირაღდანი — დაიწყება უძლიერეს მოთხილამურეთა, მოციგურეთა, ჰოკეისტთა და ბობსლეის ოსტატთა ოლიმპიური ბრძოლა.

აქეთ, იტალიის ამ პატარა საკურორტო ქალაქისაკენ იქნება მიმართული მსოფლიოს სპორტული წრეების მთელი ყურადღება, ვინაიდან ზამთრის VII ოლიმპიური თამაშები გრანდიოზული მასშტაბის ასპარეზობას წარმოადგენს.

კორტინა სრულწლიური კურორტია. ახლო მდებარე მთების კლდოვან ფერდობებზე ზაფხულში ნახავთ მოხეტიალე ალპინისტებსა და კლდეზე მცოცავებს, ზამთარში კი ათასობით თხილამური სერავს თოვლის ყამირით დაფარულ მიდამოებს. კორტინაში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა პირველი თოვლის მოსვლიდან. ამიტომაა, რომ აკაური მკვიდრნი თოვლს ალერსით უწოდებენ თავის პურსა და ოქროს.

დღეს ქალაქი მხოლოდ ერთი საქმითაა შეპყრობილი. ყველგან — სახლებზე, ბოძებზე, ვიტრინებში, მანქანებზე, მიწაზე ჰაერში თვალში მოგხვდებათ ოლიმპიური თამაშების ცნობილი ემბლემა — ხუთი გადაჯვარედინებული რგოლი. როგორც „ნოტიცარიო დი კორტინამ“ ხუმრობით აღნიშნა, ქალაქის ყოველი მაცხოვრებელი თავის თავს უწოდებს „ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის არაოფიციალურ წევრს“ და ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ სპორტსმენებისა და ტურისტებისათვის მზად იყოს ყველაფერი.

თვით ქალაქში აგებულია „სტად